# ტექნიკური დავალება

CNF/2025/GEO-TAGA

## ძირითადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| **სრული დასახელება:** | **დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლების გაძლიერება ფინანსური დაგეგმარების საკითხებში** |
| **სამუშაო ადგილი:** | საქართველო, ვიზიტით შერჩეულ დაცულ ტერიტორიებზე საჭიროების შემთხვევაში |
| **ხანგრძლივობა:** | მაისი 2025 - აგვისტო 2025 |
| **დაწყების თარიღი:** | მაისი 2025 |
| **კონტრაქტის ტიპი:** | ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე |
| **განაცხადის პროცედურა:** | ბაზრის კვლევა |
| **განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა:** | 14 მაისი, 2024 |
| **განაცხადის წარდგენის წესი:** | განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელ-ფოსტაზე: recruiting@caucasus-naturefund.org |
| **დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:** | მარიამ სულხანიშვილი, კონსერვაციის და სოციალური ოფიცერი, msulkhanishvili@caucasus-naturefund.org |

## კავკასიის ბუნების ფონდის შესახებ

კავკასიის ბუნების ფონდი წარმოადგენს კონსერვაციულ არა-მოგებაზე ორიენტირებულ სატრასტო ფონდს, რომელიც შეიქმნა 2007 წელს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ფედერალური სამინისტროს მხარდაჭერითა და გერმანიის განვითარების ბანკის (KfW), კონსერვაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (Conservation International) და ბუნების მსოფლიო ფონდი – გერმანიის (WWF Germany) მეშვეობით.

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს დაცული ტერიტორიების ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობის მიზნით, გრძელვადიანი დაფინანსების და მენეჯმენტის დახმარების უზრუნველყოფით კავკასიის ბუნების ფონდი ხელს უწყობს კავკასიის უნიკალური ფლორის, ფაუნის და ეკოსისტემების კონსერვაციას მომავალი თაობებისთვის და ამავე დროს, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

კავკასიის ბუნების ფონდის მიერ დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას საოპერაციო და საკადრო დანახარჯების შევსებით და შესაძლებლობების გაძლიერებას დაცული ტერიტორიების მართვის

გაუმჯობესების მიზნით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ბრაკონიერობა, ხე-ტყის ჭრა და სხვა უკანონო ქმედებებზე რეაგირება, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვანი სახეობების და ბუნებრივი ეკოსისტემების მონიტორინგი, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ტურიზმისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

## განსახორციელებელი პროექტის მონახაზი

კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მიერ 2019-2024 წლებში განხორციელდა GEF/UNDP-ის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი - „დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში". პროექტის მთავარი მიზანი იყო გლობალურად მნიშვნელოვანი ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის სამიზნე დაცულ ტერიტორიებზე გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობა და ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფა.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტების, მათ შორის: ფინანსური საჭიროებების ანალიზი დაცული ტერიტორიების სისტემისთვის, ეკოსისტემური სერვისების შეფასების კვლევა, დამატებითი შემოსავლის გენერირების შესაძლებლობების შეფასება და სხვა.

პროექტის შედეგების შეფასებისას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საჭიროებად დაფიქსირდა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მენეჯერების გადამზადება ფინანსური დაგეგმარების საკითხებში, რათა მათ უკეთ შეძლონ მათი ადმინისტრაციების საჭიროებების შეფასება და არსებული ინფორმაციისსაოპერაციო გეგმებსა და ბიუჯეტში ასახვა, გეგმების ცვლილება საჭიროებისამებრ და ხარჯვის მონიტორინგი, ასევე გამოვლენილი საჭიროებების დასაბუთება და შეფასება მონეტარული თვალსაზრისით.

შესაბამისად, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან კონსულტაციის საფუძველზე დაიგეგმა CNF-ის მიერ მხარდაჭერილი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისთვის ფინანსური დაგეგმვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

## ტექნიკური დავალების მიზანი

წინამდებარე ტექნიკური დავალების მიზანია ფინანსური ტრენინგ პროგრამის შემუშავება და მისი ჩატარება დაცული ტერიტორიების მენეჯერებისთვის (დირექტორების, ბუღალტრებისა და სხვა შესაბამისი უფლება-მოვალეობის მქონე თანამშრომელთათვის) რათა მოხდეს მათი გაძლიერება შემდეგ საკითხებში:

- ბიუჯეტის განსაზღვრა და მომზადება საკონსერვაციო, ეკო-ტურისტულ, კანონაღსრულების და სხვა პრიორიტეტებთან მიმართებაში და მათი გათვალისწინებით;
- APA-ს ფინანსური დაგეგმვის პროცესის და ციკლის განმარტება და პროცესში ეფექტურად ჩართვის შესაძლებლობების განსაზღვრა;
- ბიუჯეტის ხარჯვის მონიტორინგი;
- ადგილზე არსებული საჭიროებების ბიუჯეტში გათვალისწინების მნიშვნელობის ეფექტურად ადვოკატირება;
- ბიუჯეტის ათვისების მიზნით, შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაციის საჭირო მექანიზმების განსაზღვრა და შეთანხმება.

## სამუშაოს აღწერა და დავალებები

ტექნიკური დახმარების მომწოდებელმა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მენეჯერებისთვის უნდა შეიმუშაოს და ჩაატაროს ტრენინგი, რომელიც დაფარავს სულ მცირე შემდეგ საკითხებს:

1. დაცული ტერიტორიებისთვის ფინანსური დაგეგმვის საფუძვლები

    - ბიუჯეტირებისა და ფინანსური დაგეგმვის ძირითადი პრინციპები დაცული ტერიტორიების სპეციფიკის გათვალისწინებით.
    - დაფინანსების წყაროების მიმოხილვა (სახელმწიფო ბიუჯეტი, CNF, სხვა დონორები და წყაროები).
    - მენეჯმენტის გეგმების როლი საოპერაციო გეგმებთან კავშირში.

2. დაცული ტერიტორიების სისტემაში ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი

    - როგორ მუშაობს ბიუჯეტირების პროცესი ქვეყანაში, დაცული ტერიტორიების სააგენტოში და დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციებში.
    - დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და დაცული ლანდშაფტების ბიუჯეტის დაგეგმვა არსებული, მათ შორის CNF საოპერაციო გეგმის შაბლონის მიხედვით.
    - ექსელის ფორმატში ბიუჯეტის შაბლონების გაცნობა.
    - ფაქტიური ხარჯების რეესტრის წარმოება და ბიუჯეტში ინტეგრირება.
    - სახელმწიფო ბიუჯეტის და CNF-ის ბიუჯეტის ინტეგრაციის ციკლის გაგება.
    - დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების როლი და პასუხისმგებლობები ბიუჯეტის დაგეგმვაში.

3. საოპერაციო გეგმებისა და ბიუჯეტის შესაბამისობა

    - როგორ გადავიტანოთ საოპერაციო გეგმები ბიუჯეტის მუხლებში.
    - აქტივობების პრიორიტიზირება, მათ შორის კონსერვაციის, ეკოტურიზმის განვითარების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მიმართულებით.
    - სხვადასხვა ტიპის აქტივობების (ინფრასტრუქტურა, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, შესაძლებლობების განვითარება და ა.შ.) სავარაუდო ხარჯების განსაზღვრა.

4. შესყიდვების პროცედურები და ხარჯების მონიტორინგი

    - დაცული ტერიტორიების სააგენტოს (APA) და დაცული ლანდშაფტების ადმინისტრაციების შესყიდვების პროცედურები და ადმინისტრაციის დირექტორის როლი აღნიშნულ პროცესში.
    - როგორ ვაკონტროლოთ ხარჯები ბიუჯეტთან მიმართებაში.
    - ადაპტური ფინანსური დაგეგმვა (როგორ შევცვალოთ ფინანსური გეგმები წლის განმავლობაში გაუთვალისწინებელი გარემოებების გათვალისწინებით).

5. კომუნიკაციისა და მოლაპარაკების უნარები

    - როგორ დავასაბუთოთ ბიუჯეტის პრიორიტეტები სააგენტოს ცენტრალურ ოფისთან.
    - როგორ ვაწარმოოთ მოლაპარაკება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან/ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ბიუჯეტის გაზრდის მიზნით.
    - დამატებითი დაფინანსების საჭიროების დასაბუთება მენეჯმენტისა და საოპერაციო გეგმებიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ტრენინგის შემუშავებული მოდულები უნდა შეიცავდეს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სესიებს და მათი ჩატარების შემდეგ, დაცული ტერიტორიების მენეჯერებს ცხადად უნდა ესმოდეთ საკუთარი როლი ბიუჯეტირების პროცესში და ჰქონდეთ შესაბამისი უნარ-ჩვევები აღნიშნულ პროცესში ეფექტურად ჩართვისთვის.

აღნიშნული ტრენინგ-მოდულის სამიზნე დაცული ტერიტორიებია:

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი
2. ყაზბეგის ეროვნული პარკი
3. ალგეთის ეროვნული პარკი
4. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორია
5. ჯავახეთის დაცული ტერიტორია
6. კინტრიშის დაცული ტერიტორია
7. მტირალას ეროვნული პარკი
8. თუშეთის დაცული ტერიტორია
9. ვაშლოვანის დაცული ტერიტორია
10. ლაგოდეხის დაცული ტერიტორია
11. მაჭახელას დაცული ტერიტორია
12. ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორია
13. კოლხეთის ეროვნული პარკი
14. ქობულეთის დაცული ტერიტორია
15. რაჭის ეროვნული პარკი
16. არაგვის დაცული ლანდშაფტი
17. თრუსოს დაცული ლანდშაფტი
18. თუშეთის დაცული ლანდშაფტი
19. ტანა და თეძმის დაცული ლანდშაფტი
20. მაჭახელას დაცული ლანდშაფტი

ტრენინგს ასევე დაესწრებიან დაცული ტერიტორიის სააგენტოს და CNF-ის წარმომადგენლები.

## განსახორციელებელი ეტაპები

აღნიშნული სამუშაოს შესრულების მიზნით, ტექნიკური დახმარების მომწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს შემდეგი ეტაპები:

*ეტაპი 1: მოდულების მომზადება და ტრენინგების ჩატარების დაგეგმვა:*
ტექნიკური დავალების შემსრულებელმა, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, ბიომრავალფეროვნების და ტყის დეპარტამენტთან, და CNF-თან კონსულტაციის შემდეგ უნდა შეიმუშაოს ტრენინგ მოდულები, რომლებიც უნდა ფარავდეს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს და უზრუნველყოფდეს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნის მიღებას, და დაგეგმოს ტრენინგების ჩატარების გრაფიკი.

**ჩასაბარებელი სამუშაო 1**: შემუშავებული და APA-სთან, ბიომრავალფეროვნების და ტყის დეპარტამენტთან და CNF-თან შეთანხმებული ტრენინგის მოდულები და დეტალური გეგმა გრაფიკი, რომელიც მოიცავს ტრენინგების დღეების რაოდენობას, ჩატარების დროს და მონაწილეთა სიას.

*ეტაპი 2: ტრენინგების ჩატარება და ანგარიშგება*
აღნიშნულ ეტაპზე, ტექნიკური დავალების შემსრულებელმა პირველ ეტაპზე განსაზღვრული და შეთანხმებული მოდულების და გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, უნდა ჩაატაროს ტრენინგები.

ტრენინგების დასრულების შემდეგ, ტექნიკური დახმარების მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ჩატარებული ტრენინგების შესახებ ინფორმაცია. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ტრენინგის ფოტოებს, დამსწრეთა სიას, ტრენინგის მასალებსა და პრეზენტაციებს.

**ჩასაბარებელი სამუშაო 2**: ჩატარებული ტრენინგების ფოტოები, დამსწრეთა სია, ტრენინგ მასალები და პრეზენტაციები.

ტრენინგის ბოლოს, თუკი ტრენინგს ჩაატარებს ორგანიზაცია, ტრენინგის მონაწილეებს უნდა გადაეცეთ აღნიშნული სწავლების/ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი .

## სამუშაოს შესრულების განრიგი

ტრენინგები ზემოჩამოთვლილი 20 ადმინისტრაციისთვის (მაქსიმუმ 40 ადამიანისთვის - საშუალოდ 2 თანამშრომელი ერთი ადმინისტრაციიდან) უნდა განხორციელდეს 2025 წლის მაისი-აგვისტოს პერიოდში. დეტალური განრიგი უნდა შეთანხმდეს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, კავკასიის ბუნების ფონდთან და შესაბამის ადმინისტრაციებთან, მათ შორის დაცული ლანდშაფტების ადმინისტრაციებთან. ამ ეტაპზე მოიაზრება, მაქსიმუმ 3 ჯგუფისთვის 3 დღიანი ტრენინგის ჩატარება.

## შემსრულებლის კვალიფიკაცია

- მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება ფინანსური მენეჯმენტის, ბიუჯეტირების და ანგარიშგების მიმართულებით სწავლებების ჩატარებაში. გარემოს დაცვის საკითხებზე, საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესად.
- ტრენერს უნდა ჰქონდეს დაცული ტერიტორიების სისტემის ბიუჯეტების შემუშავების სპეციფიკის ცოდნა (ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული (ლანდშაფტების შემთხვევაში) მოდელების ცოდნა);

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსური სტრუქტურის ცოდნა;
- შესაბამისი გამოცდილება და უნარები მედიაციასა და მენტორობაში.

## განაცხადის წარდგენის წესი

განმცხადებელმა უნდა წარადგინოს განაცხადის სრული პაკეტი ქართულ ენაზე, მათ შორის, მოცემული უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი:

- განმცხადებლის მიერ განხორციელებული მსგავსი მომსახურებების პორტფოლიო (მიღება-ჩაბარების აქტები ან/და სხვა რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტები);
- ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის პროფილი და ძირითადი ექსპერტების რეზიუმეები, რომლებიც ჩართული იქნებიან პროცესში;
- დროში გაწერილი პირველადი სამუშაო გეგმა/გრაფიკი;
- სატენდერო წინადადების დეტალური ხარჯთაღრიცხვა ლარში,ექსელის ფორმატში;

კავკასიის ბუნების ფონდმა შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/მასალები ზემოთ აღწერილი განაცხადის საწყისი პაკეტის წარდგენის შემდეგ.

განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელ-ფოსტაზე: recruiting@caucasus-naturefund.org არაუგვიანეს 14 მაისი, 2025.

## ბიუჯეტი

კონტრაქტისა და სამუშაოს აღწერილობით განსაზღვრული ამოცანების სრულად და დამაკმაყოფილებლად განსახორციელებლად, კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) გადაიხდის ერთიან თანხას, რომელსაც მომსახურების მომწოდებელი წარადგენს სატენდერო დოკუმენტაციაში, კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად, ასევე, სამუშაო პროგრამისა და განზრახული მიდგომის შემდგომი დეტალიზების საფუძველზე. შემოთავაზებულ ბიუჯეტში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ყველა ხარჯი და თანხა, შრომითი ანაზღაურება, ტრანსპორტირებისა და დღიური საცხოვრებელი ხარჯები, , გადასახადები, ზედნადები ხარჯები და დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი.

შენიშვნა: განაცხადში ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული ტრენინგის ჩატარების ლოჯისტიკის ხარჯები; თუმცა CNF იტოვებს უფლებას, რომ მესამე მხარის/ ლოჯისტიკური მომსახურების მომწოდებლის შემთხვევაში, აღნიშნული ხარჯები დაფაროს პირდაპირ, დამოუკიდებელი კონტრაქტის ფარგლებში ან ინვოისის საფუძველზე.

## დამატებითი ინფორმაცია

განაცხადის მომზადებისას გაღებული ნებისმიერი ხარჯი წარმოადგენს განმცხადებლის პასუხისმგებლობას და კავკასიის ბუნების ფონდის მიერ არ ანაზღაურდება. მომსახურების მომწოდებელს უფლება აქვს დადოს ქვეკონტრაქტები, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის. თუ მომსახურების მომწოდებელი ითვალისწინებს ქვეკონტრაქტორების გამოყენებას, ის იღებს სრულ პასუხისმგებლობას მათ მიერ უზრუნველყოფილ მომსახურებაზე. მთლიანი საქმიანობის ერთი ან რამდენიმე ქვეკონტრაქტორისთვის გადაცემა ნებადართული არ არის.

თუ გათვალისწინებულია ქვეკონტრაქტორების გამოყენება, განაცხადის პაკეტი ასევე უნდა შეიცავდეს შემოთავაზებული ქვეკონტრაქტორების გამოცდილების აღწერას და შესაბამის რეზიუმეებს, ასევე ყველა ქვეკონტრაქტორის მიერ ხელმოწერილ ინტერესის გამოხატვის დეკლარაციას, სადაც აღწერილი იქნება თანამშრომლობის გათვალისწინებული ფორმა, განსაზღვრული იქნება წამყვანი მომსახურების მომწოდებელი, მოცემული იქნება სამუშაოს განაწილება და ა.შ. კავკასიის ბუნების ფონდთან ნებისმიერი კონტრაქტის ხელმოწერამდე მომსახურების მომწოდებელს მოეთხოვება ყველა ქვეკონტრაქტორთან ოფიციალური ხელშეკრულების დადების, მათ შორის, ერთობლივი და ინდივიდუალური ვალდებულებების განსაზღვრის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა. კავკასიის ბუნების ფონდი ვალდებული არ არის დადოს კონტრაქტი, თუ მიჩნეული იქნება, რომ წარდგენილი შეთავაზებები ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მომსახურების მომწოდებელი იმოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი კონტრაქტორი კავკასიის ბუნების ფონდთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე.

განმცხადებელი უნდა იყოს შესაბამისობაში საქართველოს გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობასთან, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან.

**დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.**